საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

- **ცვლილების სახეობა:**

- შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა

- **საკითხი:**

- საკანონმდებლო დონეზე საკონსულო თანამდებობის პირის უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის განსაზღვრა

- **რეპლიკა:**

- მე-10 მოწვევის პარლამენტს უფლებამოსილების რამდენიმე თვე ეწურება, მიზანშეწონილია საკითხი დაჩქარებული წესით განხილვა.

- **კანონის პროექტის დასაბუთება:** შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი 1-ლი პუნქტის თანახმად, ხსენებული კანონი ასევე განსაზღვრავს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელ ორგანოებს და მათ უფლება-მოვალეობებს და ადგენს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პრინციპებსა და მექანიზმებს. საგულისხმოა, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, საგარეო საქმეთა სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს:

    - შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოებისათვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული **საქართველოს ვიზის მიმღები უცხოელების და მათზე გაცემული საქართველოს ვიზის კატეგორიების შესახებ** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი **მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**;

    - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში **რეგისტრირებულ შრომით იმიგრანტზე** საქართველოს კანონმდებლობით **დადგენილი წესით D1 კატეგორიის** საიმიგრაციო ვიზის გაცემა.

- 2015 წლის „შრომითი მიგრაციის შესახებ" კანონის მესამე მუხლში შრომითი მიგრაცია განისაზღვრება როგორც "პირის საქართველოდან შრომითი მოწყობის სახელმწიფოში გასვლა უცხოელ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-4580/24
15.04.2024 ფურცელი 17

ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის სხვა სახელმწიფოდან საქართველოში შემოსვლა ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით". თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საქართველო მიგრაციული პროცესების განვითარების კუთხით, წარმოადგენს როგოც დანიშნულების, ასევე, წარმოშობის ქვეყანას, საკითხი აუცილებლად უნდა გასცდეს სავიზო უზრუნველყოფას. მოცემული ჩანაწერები უფლებამოსილებას ვიზების იქით არ განსაზღვრავს და შესაძლოა შეზღუდული[1] უფლებამოსილების გათვალისწინებით განაპირობებდა და განაპირობებს იმას, რომ შრომით მიგრაციაში გამგზავრებულ[2], მათ შორის ე.წ. ცირკულარული მიგრაციის შეთანხმების საფუძვლად გამგზავრებულ ჩვენს მოლაქეებს არც თუ იშვიათ შემთხვევაში არ გაეწევათ დროული საკონსულო დახმარება. მნიშვნელოვანია ქვეყნის საგარეო უწყებების (საელჩო, საკონსულო) და ისევე, როგორც დიასპორული ორგანიზაციების როლის გამოყენება მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ:

- ერთის მხრივ ემიგრანტთა მონაცემების ბაზის შექმნას და
- მეორე მხრივ უწევენ საჭირო იურიდიულ დახმარებას ქვეყნიდან წასულ შრომით ემიგრანტებს.

საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ასევე უნდა იყოს უცხოეთში არსებული ქართველი სათვისტომოებისა და ემიგრანტთა ურთიერთობის სამსახურის პოტენციალის გამოყენება ქვეყნიდან შრომითი მიგრაციული პროცესების სამართავად. საგულისხმოა, რომ საქართველოს მსგავსად, შრომითი მიგრაციის შესახებ კანონმდებლობა მიღებული აქვთ ევროკავშირის წევეობის კანდიდატ ქვეყნებს - უკრაინას და მოლდოვასაც, რომლის თანახმად:

მოლდოვა

Статья 22. Права и обязанности трудящегося-эмигранта

(2) В соответствии с настоящим законом трудящийся-эмигрант имеет право:

отстаивать свои права и интересы в судебных инстанциях страны назначения **и быть защищенным**

უკრაინა

Статья 10. Государственные гарантии консульского содействия трудовым мигрантам

1. **Зарубежные дипломатические учреждения** Украины принимают меры для того, чтобы трудовые мигранты и

[1] ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.

[2] შრომითი მიგრაცია ასევე წარმოშობს ტრეფიკინგის საფრთხეს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ საქართველოდან შრომითი მიგრაცია არის ძირითადად არალეგალური სახის და შრომითი მიგრანტები საზღვარგარეთ არალეგალურად არიან დასაქმებულები

государством через дипломатические представительства и консульские учреждения Республики Молдова; https://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=112697&lang=ru#

члены их семей **в полном объеме пользовались правами, предоставленными им в соответствии с законодательством**.

2. **Консульские учреждения Украины** за рубежом на постоянной основе осуществляют прием граждан, **оказывают бесплатную консультативно-правовой помощи** по консульским вопросам, **а также информацию по международному праву и национального права зарубежных стран**. Подробнее: https://kodeksy.com.ua/ka/o_vneshnej_trudovoj_migratsii/10.htm

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი არ გამოყოფს ცალკეულად ხსენებული კატეგორიის პირებთან მიმართებით სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს ან საფუძვლებს. ზემოხსენებულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია მოლდოვას და უკრაინის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონში ასახვა.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ. [redacted];
ელ. ფოსტ[redacted]ı რეგისტრაციის
ადგილი [redacted]

14/04/2024



რადიო
თავისუფლება

ახალი ამბები

გერმანიაში ისევ გაიფიცნენ ტრაილერის ქართველი მძღოლები

ივლისი 27, 2023

მე-10 დღეა, გაფიცული არიან ტრაილერის ქართველი მძღოლები. ისინი პროტესტის ნიშნად გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გაჩერდნენ და მუშაობის გაგრძელებაზე უარს ამბობენ. მძღოლები პოლონური სატრანსპორტო კომპანია „აგმაზისგან" სახელფასო დავალიანების სრულად ანაზღაურებას მოითხოვენ.

„ზოგს 5-6 თვეა, კუთვნილი ხელფასი არ აუღია. ჩემი დავალიანება 9 345 ევროა, 86 ევრო მერიცხებოდა დღეში. წელიწადზე მეტია, აქ ვარ, ყოველგვარი შესვენების გარეშე ვმუშაობ. პირობების გაუმჯობესებას დაგვპირდნენ, მაგრამ ახლა საერთოდ გაწყვიტა კომპანიამ ჩვენთან კონტაქტი", - ამბობს რადიო თავისუფლებასთან ერთ-ერთი გაფიცული გიორგი ზენაიშვილი. რადიო თავისუფლება პოლონურ კომპანიასთან დაკავშირებასაც ცდილობს.

მძღოლების თქმით, ქართველების გარდა, გაფიცულია 65 უზბეკი, ტაჯიკი და ყაზახი მძღოლი. ფრანკფურტის ერთ-ერთ ავტოსადგომზე პროტესტის ნიშნად 120 სატვირთო მანქანაა გაჩერებული. მძღოლები ასევე ამბობენ, რომ კომპანია მათი სხვა მძღოლებით ჩანაცვლებას ცდილობს.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე რაისა ლიპარტელიანის თანახმად, გერმანიის პროფკავშირის წარმომადგენლები მძღოლებს საკვებით ეხმარებიან და მოქალაქეებიც სოლიდარულად არიან განწყობილნი.

მძღოლებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ძირითადად, გადაჰქონდათ ხის და რკინის მასალები, ასევე სხვა არამალფუჭებადი პროდუქცია.

ეს პოლონურ სატვირთო გადაზიდვების კომპანია „აგმაზში" დასაქმებულების გაფიცვის პირველი შემთხვევა არაა. მიმდინარე წლის მარტში ტრაილერის 200-მდე ქართველი მძღოლი გაიფიცა სამუშაო პირობებით უკმაყოფილების გამო. ისინი მაშინაც ფრანკფურტში, ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურთან იყვნენ გაჩერებული და ხელფასის სრულად ანაზღაურებას მოითხოვდნენ.

ასევე ნახეთ
"აგერ ამათი მინისტრი, ფეხით მოვიდა" - ევროპის შუაგულში გაფიცული ქართველი მძღოლები დახმარებას ითხოვენ

გაზაფხულზე გაფიცვა შეთანხმებით დასრულდა და დამსაქმებელმა ყველა გაფიცულს კუთვნილი ანაზღაურება ჩაურიცხა.

ასევე ნახეთ
გერმანიის რადიო: სატვირთო მანქანის მძღოლების ხუთკვირიანი გაფიცვის შემდეგ შეთანხმება მიღწეულია

euronews.
GEORGIA

გერმანიაში სატვირთო მანქანების ქართველი მძღოლები გაიფიცნენ – პროფკავშირები

4 აპრილი, 2023, 18:34

გერმანიაში სატვირთო მანქანების ქართველი მძღოლები კუთვნილი ხელფასის მოთხოვნით გაიფიცნენ, ისინი მძიმე სამუშაო პირობებს აპროტესტებენ. ინფორმაციას საქართველოს პროფკავშირები ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, გერმანიაში არიან ქართველი მძღოლები, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში არ დაუსვენიათ, 365 დღის განმავლობაში მანქანიდან არ ჩამოსულან, რაც აისახება მათ ჯანმრთელობაზე.

პროფკავშირების თავმჯდომარემ, ირაკლი პეტრიაშვილმა დღეს ასევე ისაუბრა სტუდენტური დასაქმების ფარგლებში წასული იმ სტუდენტების საქმეზე, რომელთაც პრობლემები შეექმნათ.

პროფკავშირების თავმჯდომარე მათ ვინც უცხოეთში სამუშაოდ წასვლას გეგმავს, ურჩევს რომ სანამ ქვეყნიდან წავლენ კონტრაქტი პროფკავშირების იურისტებს აჩვენონ, რათა წინასწარ იცოდნენ რისკები.

სარეკლამო ბანერი № 1
650 X 85

სარეკლამო ბანერი № 3
310 X 85

სარეკლამო ბანერი № 23
310 X 133

სარეკლამო ბანერი № 24
310 X 133

სარეკლამო ბანერი № 25
310 X 133

ეკონომიკა

ბლოგი



უსაფულობა და დაბინეულობა

სარეკლამო ბანერი № 7
310 X 260

შავი ფულით. მავი ფულის დაცვა! ცდილობენ (ვიდეო)

სარეკლამო ბანერი № 4
310 X 260

გამოკითხვა

თქვენი აზრით, საქართველო უნდა მიუერთდეს თუ არა რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს?

- დიახ
- არა
- არ ვიცი



გაზიარება 0

ევროპაში დასაქმებული ქართველი გადამზიდავები დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ

5 აპრილი, 2023

ბექა დანელია

A+ A− A

კუთვნილი ანაზღაურების მოთხოვნით, გერმანიაში 200-მდე ქართველი მძღოლია გაფიცული. სოლიდარობის ნიშნად, სატვირთოს მძღოლები გაიფიცნენ იტალიაშიც. პროფესიული კავშირების გაერთიანებას დახმარების თხოვნით მიმართეს გერმანიაში დასაქმებულმა სტუდენტებმაც. ამ შემთხვევაშიც დარღვეული იყო შრომითი პირობები და 16 სტუდენტს მძიმე სამუშაო და საცხოვრებელ პირობებში უწევდათ ყოფნა, რაც შეთანხმებაში არ იყო ჩადებული.

200-მდე დასაქმებული ღამეებს მესამე კვირაა ტრაილერებში ატარებს. გაფიცულებს ერთმანეთისთვის საკვების გაზიარება უწევთ, რადგან რამდენიმე თვეა უხელფასოდ არიან, დამსაქმებელი კი მათთან კონტაქტზე არ გადის. როგორც აღმოჩნდა, ანალოგიურ პირობებში იმყოფებიან იტალიაში დასაქმებულებიც, რომლებიც საკუთარი ტრაილერებით გერმანიაში ჩავიდნენ და გაფიცვას შეუერთდნენ.

ქართველი მძღოლების თქმით, დაახლოებით ორი თვეა, რაც მუშაობენ, თუმცა პოლონური კომპანიისგან, რომელშიც დასაქმებულები არიან, შრომის ანაზღაურება არ მიუღიათ. სატვირთო ავტომობილები რამდენიმე ქვეყანაშია გაჩერებული, მათ შორის, გერმანიაში, იტალიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში.

„დაახლოებით 200 მანქანაა გაჩერებული. ერთი კვირაა, გაჩერებულები ვართ ხელფასების გამო. 60 დღის ხელფასი გვაქვს ასაღები. კომპანიასთან კონტაქტი გვქონდა, მაგრამ იქიდან, პირიქით, მუქარები იყო", - აღნიშნა ერთ-ერთმა ემიგრანტმა.

კიდევ ერთი გაფიცულის თქმით, დახმარებას საქართველოს ხელისუფლებისგან ელიან.

„გვესაჭიროება მთავრობის თანადგომა. გერმანიის საელჩომ პოლონეთში დაგვაკავშირა საქართველოს საელჩოსთან. ვესაუბრეთ იურისტებს. როგორც ჩანს, პროცესი იქნება ხანგრძლივი. ბოლო წუთამდე არ ვაპირებთ დაშლას, სანამ თითოეულ თეთრს, რაც კი გვეკუთვნის, არ ჩაგვირიცხავენ", - თქვა ქართველმა მძღოლმა.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის, **ირაკლი პეტრიაშვილის** განცხადებით, პოლონური კომპანიის მეშვეობით გერმანიაში დასაქმებული ქართველი მძღოლები არა ხელფასის მომატების, არამედ, ზოგადად, ხელფასის მიღების მიზნით არიან გაფიცულები.

მისივე თქმით, უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფო უფრო ეფექტურად დაეხმარებოდა, თუკი კანონმდებლობაში მიგრაციის შესახებ გარკვეული შეზღუდვები იქნებოდა.

„არსებობს პოლონური კომპანია, რომლის მთავარი ოფისიც კრაკოვში მდებარეობს და ამ კომპანიაში უამრავი მძღოლია დასაქმებული. აქედან, 200-მდე ადამიანი ახლაც გაფიცულია და ღამეებს ავტომობილებში ათენებს. ჩემი ევროპელი პარტნიორების გაკვირვებას იწვევს ის, რომ მძღოლები გაფიცულები არიან არა ხელფასების გაზრდის, არამედ ხელფასების გადახდის მოთხოვნით. ზოგიერთი მათგანის შრომის პირობები იმდენად ირღვევა, რომ რამდენიმე მათგანი 1 წლის განმავლობაში მანქანიდან არ ჩამოსულა, რადგან დასვენების დღე არ ჰქონია. ამ მომენტში გაფიცულები არიან ფრანკფურტში, თუმცა პოლონურ კომპანიაში დასაქმებული მძღოლები სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, იტალიაში, იგივე მდგომარეობაში არიან.

ჩვენ ჩავრთეთ როგორც პოლონეთის, ისე გერმანიის პროფკავშირები, ასევე, ტრანსპორტის საერთაშორისო ფედერაცია. გერმანიის პროფკავშირების იურისტებმა აღმოაჩინეს, რომ მძღოლები არა მხოლოდ თავიანთ საქმეზე, არამედ ტვირთის გადაზიდვაზეც პასუხისმგებლები არიან. პროფკავშირების გააქტიურების შემდეგ დამსაქმებელი შეშინდა და მძღოლებს ხელფასების გადახდასთან დაკავშირებით ზეპირი პირობა მისცა.

ჩვენ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, რათა პროცესები საქართველოს მოქალაქეების სასარგებლოდ გადაწყდეს. თუ ერთ ორგანიზაციას შეუძლია, რომ თავისი ურთიერთობები ეფექტურად გამოიყენოს, წარმოვიდგინოთ, რამდენად ეფექტურად დაეხმარებოდა სახელმწიფო ქართველ ემიგრანტებს, თუ კანონმდებლობაში მიგრაციის შესახებ გარკვეული შეზღუდვები იქნებოდა", - განაცხადა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ.

მიუხედავად ქართული მხარის გააქტიურებისა, სიტუაციის მოგვარება იოლი არ იქნება, რადგან საუბარია ემიგრანტ დასაქმებულებზე და თანაც ისინი პრობლემებს ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში შეეჩეხნენ. ასეთ დროს მედიაციის პროცესი და მით უფრო სასამართლო დავები ძალიან დიდხანს იჭიმება.

გაზიარება 0

1349

ბლოგი



უსაუღლოება და დაბინეულობა

გამოკითხვა

თქვენი აზრით, საქართველო უნდა მიუერთდეს თუ არა რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს?

- დიახ
- არა
- არ ვიცი

სარეკლამო ბანერი № 21
650 X 85

სარეკლამო ბანერი № 22
650 X 85

კომენტარები

კომენტარის დასატოვებლად გაიარეთ ავტორიზაცია ან რეგისტრაცია

ახალი ჩანაწერები

ენერგოობიექტების მშენებლობა გაძვირდა, ინვესტორები ტარიფის გაზრდას ითხოვენ

13 აპრილი, 2024



მსოფლიოში ყველა ვალუტა უფასურდება, ოქროს რეზერვი ლარის სტაბილურობისთვის აუცილებელი გახდა

12 აპრილი, 2024

საერთაშორისო ბირჟებზე ვითარება რთულდება - რამდენიმე დღეში საწვავი კიდევ გაძვირდება

10 აპრილი, 2024

ახალი აეროპორტის აშენება საბოლოოდ გადაწყდა და ტერიტორიაც შეირჩა

10 აპრილი, 2024

საქართველოში საშუალო ხელფასი სწრაფად იზრდება, თუმცა ციფრები რეალობას აცდენილია

9 აპრილი, 2024

საქართველოში კურის ფასი კოლიტიკაში "დაბრუნდა"

6 აპრილი, 2024

მთავრობა ენერგოსექტორში გარღვევისთვის დიდი ხანია ემზადება

6 აპრილი, 2024

ახალგა მინისტრმა სამედიცინო სექტორთან დამოკიდებულება სწრაფად შეცვალა

5 აპრილი, 2024

ბლოგი



უსაფულოობა და დაბრეულობა

სარეკლამო ბანერი № 7
310 X 260

ბავი ფულით, ბავი ფულის დაცვა ცდილობენ (ვიდეო)

სარეკლამო ბანერი № 4
310 X 260

კატეგორიები

პოლიტიკა	ეკონომიკა	საზოგადოება
დაინტერესებ	რეპორტაჟი	ბლოგი
ვიდეო	TOP სიახლეები	სიახლეები
ფოტოგალერეა	კულინარია	უცხოეთი
სპორტი		

გამოკითხვა

თქვენი აზრით, საქართველო უნდა მიუერთდეს თუ არა რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს?

- დიახ
- არა
- არ ვიცი

საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი

მისამართი: საქართველო, თბილისი, ჟიული შარტავას ქ. №38, ბ. №16
მობ: +995 593 15 55 00
Email: info@for.ge



ევროპაში ტრაილერის ქართველი მძღოლები გაიფიცნენ, ისინი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ

26/3/2023 • 11:22 **საზოგადოება**

A− A+

ევროპის მასშტაბით ტრაილერების 200-მდე ქართველი მძღოლი გაიფიცა. მათი თქმით, პოლონურმა კომპანიამ ისინი მოატყუა და ხელფასებს არ უხდის. ემიგრანტები საქართველოს ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.

ტრაილერებზე ლეგალურად დასაქმებული ქართველების თქმით, დაახლოებით ორი თვეა, რაც მუშაობენ, თუმცა პოლონური კომპანიისგან, რომელშიც დასაქმებულები არიან, შრომის ანაზღაურება არ მიუღიათ. მძღოლებს სატვირთო ავტომობილები რამდენიმე ქვეყანაში ჰყავთ გაჩერებული, მათ შორის, გერმანიაში, იტალიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში.

> ***„დაახლოებით 200 მანქანაა გაჩერებული. ერთი კვირაა, გაჩერებულები ვართ ხელფასების გამო. სადღაც 55 დღის ხელფასი გვაქვს ასაღები. კომპანიასთან კონტაქტი გვქონდა, მაგრამ იქიდან პირიქით, მუქარები იყო“, - ამბობს TV***

NEWS HUB

მეტი

> *[illegible] კიდევ ერთი გაფიცული.*

არსებული ცნობით, საქართველოს მოქალაქეების პროტესტს რამდენიმე სხვა ქვეყნის მოქალაქეც შეუერთდა.

იხილეთ ასევე:

- **აშშ-ში ტორნადოს შედეგად სულ მცირე 26 ადამიანი დაიღუპა**
- **ლიკვიდირებული 170 550 ჯარისკაცი და ათასობით სამხედრო ტექნიკა - გენშტაბის განახლებული ინფორმაცია რუსეთის დანაკარგებზე**
- **აშშ ბელარუსში ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსების გეგმას ეხმაურება**
- **„მისდიე შენს სხეულს“ - შალვა რამიშვილს სექსუალურ შევიწროებაში ანანია გაჩეჩილაძეც ადანაშაულებს**
- **„ისინი გვძარცვავდნენ, ჩვენი აქტივები მოიპარეს“ - პესკოვი პირატული ასლების გავრცელებასთან დაკავშირებით მედვედევის პოზიციას იზიარებს**

„პუტინი არ გაჩერდება“ - ნატოს ყოფილმა მეთაურმა მოუწოდა აშშ-ს დაამტკიცოს უკრაინის დახმარება

NEWS HUB

მეტი

4 წუთის წინ **უცხოეთი**

A− A+

ნატოს ყოფილმა მეთაურმა ჯეიმს სტავრიდისმა მოუწოდა აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ადმინისტრაციას და კანონმდებლებს, არ შეწყვიტონ კიევის დახმარება რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ომში, - იუწყება The Hill.

მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიზანია უკრაინის ხელში ჩაგდება და ის „არ გაჩერდება", სანამ ამის საშუალება არ ექნება.

„საკითხავი ისაა, სად ვართ დღეს? ჩვენ ჩიხში ვართ... რუსები იწყებენ წინსვლას და ვითარება არ გაუმჯობესდება, თუ აშშ დამატებით 60 მილიარდ დოლარის დახმარებას არ დაამტკიცებს", - აღნიშნა ალიანსის ყოფილმა მეთაურმა.

გამოცემის ცნობით, სავარაუდოდ, ის გულისხმობდა ეროვნული უსაფრთხოების დაფინანსების პაკეტს, რომელიც უკრაინას 60 მილიარდი დოლარის დახმარებას უწევს. თუმცა, ეს კანონპროექტი ჯერ არ არის მიღებული, რადგან სპიკერმა მაიკ ჯონსონმა ის განსახილველად არ გამოიტანა.

„ჯონ, აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის დაახლოებით 900 მილიარდი დოლარის კონტექსტში, 60 მილიარდი დოლარი არ არის დიდი თანხა", - განაცხადა სტავრიდისმა.

ნატოს ყოფილმა ხელმძღვანელმა დასძინა, რომ თუკი უკრაინას მეტი დახმარება არ მიეწოდება, მაშინ პუტინს ყველა შანსი აქვს მეტი ტერიტორია ჩაიგდოს ხელში.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აკაკი წერეთლის გამზ. N144
0119 თბილისი, საქართველო
1505 ; (+995 32) 2510011
info@moh.gov.ge

21 ნოემბერი 2023

MOH 8 23 01245425

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

[redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, მიმდინარე წლის 9 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული თქვენი N32700 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ დასაქმებისა და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარება, მათ შორის საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებისთვის ლეგალურად დროებითი დასაქმების შესაძლებლობების გახსნა, მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. აღნიშნული მიმართულებით, დაწყებულია და მომავალში კიდევ უფრო გააქტიურდება სამუშაოები შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარების, საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების გაფართოების, შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის მიზნით ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გასაფორმებლად. ამ მიზნით, მოცემულ ეტაპზე ინტენსიური დიალოგი მიმდინარეობს მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი
ანა დარახველიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დიასპორის ჩართულობის ანალიზი
საქართველო

ფაქტები და სტატისტიკა

ემიგრაცია

სრულ მოსახლეობაში ემიგრანტების → დიასპორის რაოდენობა ევროკავშირში



♂ 49.8%
♀ 50.2%



♂ 41.8%
♀ 58.2%

ფულადი გზავნილების პროცენტული წილი მთლიან შიდა პროდუქტში (GDP): 12.3%

ფულადი გზავნილების შემოდინება (USD მილიონი): 2,126

მოწინავე მიმღები ქვეყნები

რუსეთის ფედერაცია	450,115
საბერძნეთი	81,272
უკრაინა	65,042
აზერბაიჯანი	49,137
სომხეთი	37,886

პოლიტიკური უფლებები

ორმაგი მოქალაქეობა[1] ☑

ხმის მიცემის უფლება საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის[2] ☑

ხმის მიცემა უცხოეთიდან: საელჩოებში/საკონსულოებში ☑

ტერმინოლოგია: უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2011 წ.), ტერმინი „დიასპორა“ მოიცავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველა ქართველ მიგრანტ მოსახლეობას, მათ შორის ისტორიულ დიასპორას, დროებით მოკლევადიან ემიგრანტებს, გრძელვადიან ემიგრანტებს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს და ქართველებს, რომლებმაც უკვე მოახდინეს ნატურალიზება თავიანთ საცხოვრებელ ქვეყნებში.

საქართველოს არ გააჩნია დიასპორის ჩართულობის პოლიტიკის დოკუმენტი

1 „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად, შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება, თუკი საქართველოს მოქალაქე სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებამდე საქართველოს სახელმწიფოდან მიიღებს თანხმობას. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა, უფლება აქვს, მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მოთხოვნით, 2020 წლის 31 დეკემბრამდე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4273360?publication=0

2 http://cesko.ge/eng/static/1605/amomrcheveli-sazghvargaret

2011 ***საქართველოს კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ***[3] განსაზღვრავს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მიმართებით საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს და აყალიბებს ამ პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის საფუძვლებს, ასევე განსაზღვრავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულისა და დიასპორული ორგანიზაციის სამართლებრივ სტატუსს.

2014 ***საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ***[4] ამარტივებს საქართველოს მოქალაქეობის დადგენას და ცვლის ნატურალიზაციის პროცედურებს.

2015 ***საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ***[5] დიდწილად არეგულირებს უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების შრომითი ემიგრაციის ნორმებს, განსაკუთრებით ემიგრაციას შუამავალი ორგანიზაციების საშუალებით. კანონი ასევე ითვალისწინებს შრომითი ემიგრანტების უფლებების დაცვის მექანიზმებს.

2016 » 2020 ***საქართველოს მიგრაციის სტრატეგია***[6] შეიქმნა იმისთვის რომ მომხდარიყო მიგრაციის პოლიტიკის სწორი დაგეგმვა და მისი მართვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად. საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის მიზანია, 2020 წლისთვის საქართველოში მიგრაციის მართვის ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას; ხელს შეუწყობს სხვადასხვა რელიგიური, კულტურული და ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებას, ემიგრანტთა უფლებების დაცვას და საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური და დემოგრაფიული ასპექტების გამოყენებას ქვეყნის განვითარებისთვის და გაზრდის საქართველოს მოქალაქეების ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებს. 2021-2031 მიგრაციის სტრატეგიით (დამტკიცების მოლოდინში), მთავრობა გეგმავს აქტიურად გააგრძელოს მიგრაცია და განვითარების მიმართულებით მუშაობა.

ტენდენციები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის მობილობის პარტნიორობის შედეგად, ქართული დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში საფუძვლიანად არის ასახული საქართველოს მიგრაციის სტრატეგიაში. ამრიგად, საქართველოს მთავრობამ საქართველოს მიგრაციის 2016-2020 და 2021-2031 წლების სტრატეგიაში შეიტანა მიგრაცია და განვითარება. სტრატეგიის წლიურ სამოქმედო გეგმებში შედის მთელი რიგი პროგრამები, რომლებიც დიასპორის ჩართულობისკენ არის მიმართული. როგორც მიგრაციის სტრატეგიაშია ხაზგასმული, მიგრაციის მართვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს დიასპორისა და მიგრანტების პოტენციალის გამოყენებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ამრიგად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა საქართველოს მთავრობის მხრიდან დიასპორისადმი გაზრდილი ინტერესი, მათ შორის დიასპორის პოტენციალისა და პოზიტიური გავლენის გათვალისწინება საქართველოში მიმდინარე განვითარებისადმი მიმართული ძალისხმევის გაძლიერების კუთხით.

3 http://migration.commission.ge/files/law_on_compatriots_eng.pdf
4 https://matsne.gov.ge/en/document/view/2342552?publication=5
5 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?impose=translateEn&publication=3
6 http://migration.commission.ge/files/migration_strategy_2016-2020_eng_final_amended_08.2018.pdf

მიღწევები

2019 წელს, საქართველომ ჩამოაყალიბა ახალი საგრანტო პროგრამა[7] დიასპორული ორგანიზაციებისთვის, ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც მიმართულია საქართველოს განვითარების პროცესებისკენ, აკადემიური / სამეცნიერო თანამშრომლობისკენ და დანიშნულების ქვეყნებში მიგრანტთა უფლებების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერისკენ. საგრანტო პროგრამა ფოკუსირებულია ისეთ თემებზე, როგორიცაა დიპლომატიის გაძლიერება, ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა, ქართული დიასპორის ინტერესებისა და ადამიანის უფლებების დაცვა საზღვარგარეთ, ასევე დაბრუნების მხარდაჭერა და ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნება.

მთავრობამ ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საფრანგეთთან ცირკულარული მიგრაციის სქემის შექმნისკენ (ინიცირებულია 2014 წელს და რატიფიცირებულია 2019 წელს); მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცირკულარული მიგრაციის სქემების შექმნის შესახებ შემდეგ ქვეყნებთან: გერმანია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიეტუვა, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ჩეხეთი, უნგრეთი და ირლანდია.

დაბრკოლებები

- ***დაბრუნება და რეინტეგრაცია:*** ქვეყანაში დაბრუნების და რეინტეგრაციის არასახარბიელო მდგომარეობის გამო, მრავალი მიგრანტი განიხილავს კვლავ ემიგრაციაში წასვლას უკეთესი შესაძლებლობებისა და ცხოვრების უფრო მაღალი დონის საძიებლად. მიგრანტებს, რომლებიც ნებაყოფლობით დაბრუნდნენ საქართველოში, უცხოეთში მიღებული ცოდნის, განათლებისა და უნარების გათვალისწინებით, სურთ დასაქმდნენ საქართველს შრომის ბაზარზე, თუმცა ისინი ყოველთვის ვერ ახერხებენ შესაბამისი შესაძლებლობებს ნახვას საქართველოში.

- ***ნდობა:*** საბჭოთა კავშირის დაშლით, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენითა და მძიმე ეკონომიკურ კრიზისებით გამოწვეული ემიგრაციის რამდენიმე ტალღის გადატანის შემდეგ, მიგრანტებსა და მთავრობას შორის ნდობის დამყარება პრობლემური გახდა. შემდგომ წლებში, ამ გამოწვევის წინააღმდეგ საბრძოლველად, საქართველოს მთავრობამ, მისი ბოლოდროინდელი და ისტორიული დიასპორის მიმართ ნდობის აღდგენის მიზნით, დაიწყო სხვადასხვა ინიციატივების დაფუძნება, რომლებიც ეხებოდა დიასპორის ჩართულობასა და ქვეყნის განვითარებაში მათი როლის წინ წამოწევას. მრავალი პროგრამა / ინიციატივა მიმართულია მთავრობის მიდგომის გაუმჯობესებისკენ დიასპორასთან ურთიერთობის კუთხით, საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეებთან ძლიერი საკონტაქტო ქსელისა და მჭიდრო კავშირების დამყარების გზით.

7 საქართველოს მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული საგრანტო პროგრამა "დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა" ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. აპლიკაციის ღია განაცხადის საფუძველზე მიღების შედეგად, 2019 წელს შეირჩა 28 განაცხადი, რომელთაგან თითოეულს გადაეცათ გრანტი დაახლოებით. 8,300 ევროს ოდენობით. http://gda.ge/news/sagranto-programa-diasporuli-initsiativebis-khelshetskoba

საყურადღებო ინფორმაცია: ეფექტური გამოცდილებები

დიასპორის ფორუმი[8]

კვლევები

საქართველოს დიასპორის ფორუმი იმართება ყოველწლიურად თბილისში, საქართველოში. მასში ერთიანდებიან დიასპორის ცნობილი წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის, აკადემიური წრეების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ფორუმის მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობის გაღრმავება, სამუშაო შეხვედრების და თემატური დისკუსიების ორგანიზება, და თანამშრომლობის შესაძლებლობის დამკვიდრება შემდეგი მიმართულებებით: ეკონომიკა, ბიზნესი, განათლება და მეცნიერება, ქველმოქმედება, დიპლომატია, ასევე ახალგაზრდების ჩართულობის, მძლეოსნობა და კულტურა.

მაღალ-პროფილური დიასპორის დაჯილდოება[9]

კვლევები + ადამიანური კაპიტალი

მაღალ-პროფილურ ღონისძიებას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა მინისტრის, საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო საზოგადოების სხვა მაღალი დონის წარმომადგენლების მონაწილეობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ICMPD-ის პროექტის ფარგლებში. დაჯილდოება ყოველწლიურად იმართება საქართველოში. ღონისძიების მთავარ მიზანს წარმოადგენს დიასპორის მაღალ-პროფილური წევრების მოზიდვა და მათი ჩართულობის გაზრდა საქართველოს განვითარების პროცესებში. ეს ხორციელდება დიასპორის პროფესიონალთა ქსელის შექმნის გზით, რომელშიც ერთიანდებიან სხვადასხვა სექტორში მოღვაწე პროფესიონალები. მაღალ-პროფილური დიასპორის დაჯილდოების ცერემონიალის შედეგად, ქართული დიასპორის გამოჩენილი წევრების მიღწევები აღიარებულია და თვალსაჩინოა ეროვნული და საერთაშორისო მედიის საშუალებით.

ლეგალური მიგრაციის გზამკვლევი [10]

ემიგრანტთა უფლებები

იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ქართველი მიგრანტებისა და დიასპორის წარმომადგენელთა მიერ თავიანთ უფლებებზე ხელმისაწვდომობის ქონას დანიშნულების ქვეყნებში, შემუშავდა სახელმძღვანელო მიგრაციასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შესახებ, რომელიც ფოკუსირდება ევროკავშირის სამ სამიზნე ქვეყანაზე, სადაც ყველაზე მეტად არიან ქართველი ემიგრანტები კონცენტრირებული - საბერძნეთი, იტალია, და ესპანეთი. სახელმძღვანელო მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას კონკრეტული კანონებისა და რეგულაციების შესახებ, რომლებიც ეხება საცხოვრებელ ადგილს, დასაქმებას, სოციალურ უსაფრთხოებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ლეგალური მიგრაციის გზამკვლევი შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ICMPD ENIGMMA 2 პროექტის ფარგლებში.

პოლიტიკის სახელმძღვანელო დიასპორის ჩართულობის შესახებ კრიზისის მართვაში

კრიზისზე ლაგვრესა

„მიგრანტები კრიზისულ ქვეყნებში: მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის ხელშეწყობა ეფექტური და კოოპერატიული სახელმწიფო ქმედების უზრუნველსაყოფად“ პროექტის (MICIC, დაფინანსებულია EU-ის მიერ, ხორციელდება ICMPD-ის მიერ) ფარგლებში საქართველოსთვის შეიქმნა სახელმძღვანელო კრიზისის დროს დიასპორის ჩართულობის შესახებ. დოკუმენტში

8 http://gda.ge/Search?q=%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98
9 http://www.enigmma.ge/news/georgian-diaspora-awards-2019/
10 http://www.enigmma.ge/about/

შესული რეკომენდაციები ეყრდნობა მასპინძელ ქვეყნებში MICIC პროექტის სამუშაო შეხვედრაში მონაწილე ქართული დიასპორის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებულ წინადადებებს.

ახალგაზრდა ელჩების პროგრამა[11]

ყოველწლიური პროგრამა შექმნილია უცხოეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებისთვის, რათა მათ თავიანთ საცხოვრებელ ქვეყნებში წარმოაჩინონ საქართველო კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებებით. პროგრამის მიზანია ცნობიერების ამაღლება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური ან სოციალური საკითხების შესახებ, ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას, წაახალისოს ინვესტიციები და ხელი შეუწყოს სხვა ახალგაზრდებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების ჩართვას კავშირების დამყარებაში. პროგრამა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ICMPD ENIGMMA 2 პროექტთან თანამშრომლობით.

ახალგაზრდები + კავშირები

დიასპორის ვებ-გვერდი[12]

ეს პლატფორმა - რომელიც შეიქმნა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ - მთელი მსოფლიოს გარშემო მყოფ დიასპორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს იკონტაქტონ და მიიღონ სიახლეები ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებების შესახებ და მოიპოვონ ინფორმაცია დიასპორისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. www.gda.ge

კავშირები

11 http://www.enigmma.ge/en/?s=young+ambassadors
12 www.gda.ge

დანართი:

მონაწილეების ჩამონათვალი

დიასპორასთან დაკავშირებული ინსტიტუციები

- **ეროვნული ინსტიტუციები**

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია 2010
http://migration.commission.ge/index.php?article_id=1&clang=1

კომისია წარმოადგენს მიგრაციის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების მაკოორდინებელ ორგანოს, და მიზნად ისახავს შეიმუშაოს და განახორციელოს თანმიმდევრული მიგრაციის პოლიტიკა სწორი მართვის უზრუნველსაყოფად. კომისიის მუდმივი წევრები არიან: საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიც არის: ICMPD, IOM, UNHCR და მიგრაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, მოწვეულები არიან კომისიის სხდომებზე, როგორც საკონსულტაციო წევრები.

  - სამინისტრო დონეზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2016

ახდენს საქართველოს ეროვნული ინტერესების გატარებას, იცავს საქართველოს მოქალაქეების უფლებებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ხელს უწყობს უკეთესი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას. https://mfa.gov.ge/

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი 2016

2016 წელს, საქართველოს მთავრობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა დიასპორასთან ურთიერთობების დეპარტამენტი. დღემდე, აღნიშნული დეპარტამენტი რჩება მთავარ ერთეულად, რომელსაც ევალება უცხოეთში მყოფ ქართველებთან ურთიერთობის შენარჩუნება და განმტკიცება, დიასპორის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება და უცხოეთში მცხოვრებ მიგრანტთა პროფილის შემუშავება. დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიზანია ინდივიდუალურად შემუშავებული ინიციატივების და პროგრამების განხორციელება უცხოეთში მყოფი ქართული დიასპორის წარმომადგენლებისათვის.

დიასპორული ორგანიზაციები ევროპაში

ამჟამად არცერთი ორგანიზაცია არ მუშაობს განვითარების მიმართულებით არსებულ პროექტებზე, მაგრამ აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სხვადასხვა განვითარებით საქმიანობაში.

ქართული დიასპორის ასოციაცია პოლონეთში
https://www.facebook.com/disporagruzinskawpolsceofficial/

ასოციაცია მხარს უჭერს ქართველ მიგრანტებს პოლონეთში, ატარებს კულტურულ ღონისძიებებს, ენის გაკვეთილებს, ცეკვის გაკვეთილებსა და სხვა ღონისძიებებს კავშირების დასამყარებლად.

კავკასიის კულტურული ცენტრი საბერძნეთი 2006
https://el-gr.facebook.com/CaucasusCentreAthens/

ათენში არსებული ეს ორგანიზაცია ამაყობს იმით, რომ უზრუნველყოფს ქართველ ბავშვებს საკვირაო სკოლით, ატარებს საცეკვაო გაკვეთილებს, ინტეგრაციის ხელმშემწყობ აქტივობებს და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს.

საქართველოს ასოციაცია საფრანგეთში 2016
http://georgiensenfrance.fr/?fbclid=IwAR0SOo5iKn3CzvW1GIR9XceaMR3yY5h1Z_vv9A-JY2EmImsBB_FEtIDL_1vA

ასოციაცია ხელს უწყობს ემიგრანტებს და ასევე ორგანიზებას უწევს კულტურულ ღონისძიებებს.

საქართველოს დიასპორა გაერთიანებულ სამეფოში https://www.facebook.com/IN.sarajishvili.3

ორგანიზაცია ქართველი ემიგრანტებისთვის უზრუნველყოფს ენის კლასებს, ასევე ატარებს საცეკვაო და სხვა კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სპორტულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს ახალგაზრდების ჩართულობას.

საქართველოს ასოციაცია გერმანიაში გერმანია 1945 www.satvistomo.net

მიუნხენში არსებული დიასპორული ორგანიზაცია გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გამორჩეულია. ორგანიზაცია უზრუნველყოფს ენის გაკვეთილებს, კონსულტაციებს, ცეკვის გაკვეთილებს, კულტურულ ღონისძიებებს და სხვა აქტივობებს.

ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაცია საბერძნეთი
https://www.facebook.com/HellenicGeorgianCulturalAssociation/

ათენში დაფუძნებული ასოციაცია ქართველი ბავშვებისთვის ატარებს ქართული ენის, ცეკვის და სხვა გაკვეთილებს. ამასთან, ასოციაცია მიგრანტებს სთავაზობს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხებზე, როგორიცაა კანონმდებლობა, ბინადრობის ნებართვის მოპოვება, ინტეგრაციის ხელშეწყობა და სამსახურთან დაკავშირებული პრობლემები.

RUSMPI UG
Institute on Migration Policy
Think Globally, Listen Properly, Act Comprehensively

Implemented by
ICMPD
International Centre for Migration Policy Development

Funded by the European Union

დანართი 1

1. **საზღვარგარეთ საქართველოს თანამემამულეთა რაოდენობა და მათი განსახლების ძირითადი ადგილები (ქვეყნები/ რეგიონები/ ქალაქები):**

პასუხი: არაოფიციალური მონაცემებით, საზღვარგარეთ საქართველოს მილონ ნახევრამდე მოქალაქე იმყოფება. ინფორმაცია უცხოეთში მყოფი თანამემამულეების რაოდენობისა და მათი ძირითადი განსახლების ქალაქების მითითებით:

ავსტრიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად დიდ ქალაქებში - ვენაში, ლინცში, გრაცსა და ზალცბურგში ცხოვრობენ. შედარებით ნაკლებია მათი რაოდენობა კლაგენფურტში, ინსბრუკსა და ბრეგენცში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 10 ათასამდე მოქალაქე იმყოფება. გარდა ამისა, კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში წარმოდგენილია ისტორიული დიასპორა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკური ქართველები, რომელთა გარკვეულ ნაწილს მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობაც. რეგიონში 15 ათასამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს: კახის რაიონში, ძირითადად, ქართული გვარ-სახელის მქონე მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხოლო ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში - აზერბაიჯანული გვარ-სახელის მქონე მუსლიმები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ოფიციალური მონაცემებით, აზერბაიჯანში 2009 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ზემოაღნიშნულ რაიონებში ფიქსირდება 7849 ეთნიკური ქართველი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 100 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსისა და კალიფორნიის შტატებში ცხოვრობენ.

ბელარუსის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ცხოვრობს საქართველოს 5 000-მდე მოქალაქე. ქართველთა უმეტესობა განსახლებულია მინსკსა და ოლქების ცენტრებში: ბრესტი, გომელი, მოგილოვი, გროდნო, ვიტებსკი.

ბელგიის სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 20 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველების უმრავლესობა ცხოვრობს ბრიუსელში, ანტვერპენსა და ლიეჟში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში, სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, იმყოფება საქართველოს 30 000-მდე მოქალაქე. ძირითადად ცხოვრობენ ბავარიის, ბადენ-ვიურტემბერგის, ქვედა საქსონიის, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის, რაინლანდ-პფალცის, საქსონიის და ჰესენის ფედერალური მიწების დიდ ქალაქებში.

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები ქართველების რაოდენობა, არაოფიციალური მონაცემებით, 10 000-ს შეადგენს. ქართველები ძირითადად დიდ ქალაქებში, ლონდონში, ბირმინგემში, ბრისტოლში, გლაზგოსა და ედინბურგში ცხოვრობენ.

ესპანეთის სამეფოში, სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 35 000 მოქალაქე იმყოფება. მათი უმეტესობა კონცენტრირებულნი არიან შემდეგ ქალაქებში: ბარსელონა, მადრიდი, ალიკანტე, ვალენსია, არნედო.

ესტონეთში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 1000-მდე მოქალაქე იმყოფება. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ქვეყნის დედაქალაქში, ტალინში ცხოვრობს.

თურქეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოქალაქე რაოდენობა 60 000-მდე მერყეობს.

ირლანდიაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 2 000-ს აღწევს, რომელთა უმრავლესობა დუბლინში ცხოვრობს.

ისრაელის სახელმწიფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 20 000-მდე თანამემამულე იმყოფება. ქართველები, ძირითადად, თელ ავივში, ხულონსა და ლოდში ცხოვრობენ.

იტალიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში 40 000-მდე საქართველოს მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად კონცენტრირებულნი არიან აპულიას (ბარი), ტოსკანას (ფლორენცია), ემილია რომანას (ბოლონია), ლაციოსა (რომი) და ლომბარდიის (მილანი) რეგიონებში.

კანადაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5000-მდე მოქალაქე იმყოფება. ჩვენი თანამემამულეები ძირითადად ტორონტოში, მონრეალში, ვანკუვერსა და ედმონტონში არიან კონცენტრირებული.

კვიპროსის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს 10 000-მდე მოქალაქე იმყოფება. მათი უმეტესობა ძირითადად ქ. ნიკოზიაში, ქ. ლიმასოლსა და ქ. პაფოსში ცხოვრობს.

ლატვიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 500-მდე შეადგენს და ძირითადად ცხოვრობენ ქ. რიგაში.

ლიეტუვას რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 500-მდე შეადგენს და ძირითადად ცხოვრობენ ქ. ვილნიუსში.

მოლდოვას რესპუბლიკაში არაოფიციალური მონაცემებით, მოლდოვაში 500-მდე ქართველია. ისინი, ძირითადად, ქ. კიშინიოვში ცხოვრობენ.

ნიდერლანდების სამეფოში არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5 000-მდე თანამემამულე იმყოფება, ქართული დიასპორის ძირითადი ნაწილი ქ. ამსტერდამში ცხოვრობს.

პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 12 000-მდე იმყოფება.

პორტუგალიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 3000-მდე მოქალაქე ცხოვრობს. ჩვენი თანამემამულეები ძირითადად ქ. ლისაბონსა და ქ. პორტოში ცხოვრობენ.

რუსეთის ფედერაციაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოქალაქე რაოდენობა 700 000 - 800 000 შეადგენს. ქართული დიასპორის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. მოსკოვსა და ქ. სანქტ–პეტერბურგში, თუმცა რეგიონებშიც ქართველთა დიდი რაოდენობაა კონცენტრირებული.

საბერძნეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, 200 000-მდე თანამემამულე ცხოვრობს. ქართველთა განსახლების ქალაქებია: ქ. ათენი, ქ. თესალონიკი, ქ. ნავპლიო და, ასევე, არიან კუნძულ კრეტაზე.

საფრანგეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საფრანგეთში 20 000-მდე ქართველი მიგრანტი ცხოვრობს. ქართველები ძირითადად ცხოვრობენ ქ. პარიზში, ქ. სტრასბურგში, ქ. ნანტში, ქ. რეიმსში, ქ. მონპელიეში.

სომხეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 1500-მდე მოქალაქე იმყოფება. მათი დიდი ნაწილი განსახლებულია ქ. ერევანში.

უკრაინაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 50 000-მდე მოქალაქე ცხოვრობს, რომელთა უმეტესობა განსახლებულია ქალაქებში: კიევი, ოდესა, ხარკოვი, ლვოვი და დნეპრი.

ფინეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 500-მდე მოქალაქე იმყოფება. თანამემამულეები ძირითადად ჰელსინკიში, ტამპერეში, ტურკუსა და როვანიემში ცხოვრობენ.

ყაზახეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ქართველთა სავარაუდო რაოდენობა 10 000 ადამიანს შეადგენს. იმყოფებიან შემდეგ ქალაქებში: ნურსულთანი, ალმათი, აქტაუ, ატირაუ და ყარაგანდა.

შვედეთის სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, იმყოფება საქართველოს 3 000-მდე მოქალაქე. ქართველების უმეტესი ნაწილი ცხოვრობს ქალაქებში: სტოკჰოლმი, გოტენბურგი, მალმო და ლუნდი.

შვეიცარიის კონფედერაციაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 2 000-მდე მოქალაქე იმყოფება. თანამემამულეების უმეტესობა ცხოვრობს ციურიხში, ლუგანოსა და ბაზელში.

ჩეხეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 3 000-მდე ქართველია და ძირითადად ქ. პრაღაში ცხოვრობს.

2. **საზღვარგარეთ საქართველოს თანამემამულეთა საქმიანობის და სახელმწიფო მხარდაჭერის საჭიროებების ძირითადი სფეროები;**
   - **პასუხი:** საზღვარგარეთ ემიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია ძირითადად ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებთან. ადგილსამყოფელ ქვეყნებში თანამემამულეები როგორც ლეგალური (მუდმივი ან დროებითი ბინადრობის ნებართვები და მოქალაქეობა), ისე არალეგალური სტატუსით იმყოფებიან. უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობას შრომითი მიგრანტები წარმოადგენენ და ადგილსამყოფელ ქვეყნებში ძირითადად ოჯახებში დიასახლისებად მუშაობენ. ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შორის, ასევე, არიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ: კულტურის, ხელოვნების, მედიცინის, ბიზნესის სფეროებში, ასევე არიან სტუდენტები და აკადემიურ სფეროში მოღვაწე თანამემამულეები.

3. **თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მიმართ არსებული საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის (როგორც საშინაო, ასევე საგარეო მიმართულებით) განმსაზღვრელი დოკუმენტები;**
   - საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ - დანართი 2.
   - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ - დანართი 3.
   - თანამემამულეთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები გათვალისწინებულია 2021 – 2024 წლების სამთავრობო პროგრამაში: „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში და საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში.

4. **თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პრობლემები და გამოწვევები (ასეთი საკითხების იდენტიფიცირების არ განხორციელების შემთხვევაში, ასევე, გთხოვთ, მეცნობოს);**
   - **პასუხი:** 2020 წელს, დიასპორის მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულფასოვნად განხორციელებას ხელი შეუშალა მსოფლიოში გავრცელებულმა, კორონავირუსით (COVID-19)-ით გამოწვეულმა პანდემიამ. მიუხედავად დაწესებული შეზღუდვებისა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეძლო რიგი პროგრამისა და აქტივობის განხორციელება.

5. **დიასპორის საკითხთა მიმართულების სახელმწიფო მინისტრის აპარატის და სამინისტროს ქვეშ ფუნქციონირების შედეგების და შესაძლებლობების შედარებითი ანალიზი (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, ასევე, გთხოვთ, მეცნობოს);**

➢ **პასუხი:** დიასპორის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევისა და მათი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, 2017 წლიდან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. დიასპორის საკითხების საგარეო უწყებაში გადასვლა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებს თავის ერთ–ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განიხილავს და ამ ფორმით, დიასპორაზე, როგორც სამშობლოს განუყოფელ ნაწილზე ზრუნვას, მისი ინტერესების დაცვას და მათი წარმოშობის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობას უფრო მაღალ ხარისხში მოიაზრებს. დიასპორასთან დაკავშირებული პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთად, გააგრძელა და გააფართოვა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის არსებობისას დაწყებული პროექტების განხორციელება. დეპარტამენტის ინიციატივით არაერთი ახალი პროგრამის თუ აქტივობის განხორციელება დაწიყო. დიასპორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით, შემუშავდა დიასპორასთან ურთიერთობის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი - პროგრამა „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა". აღსანიშნავია, რომ ეს არის სტრატეგიული ხედვა და დიასპორასთან დაკავშირებით განსახორციელებელი საქმიანობის სამოქმედო გეგმა, რომელიც მსგავსი სახით პირველად იქნა მიღებული. საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების პროცესში და საქართველოს ახალ კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას იზრუნოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, დიასპორის წარმომადგენელებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ახორციელებს თემატურ პროგრამებსა და აქტივობებს, რომელთა ნაწილი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის არსებობის დროსაც ხორციელდებოდა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და განათლების საკითხებს. საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლებში სწავლების დონის ამაღლებისა და საერთო მიდგომების დანერგვის აუცილებლობიდან გამომდინარე, საგარეო საქმეთა სამინისტრომ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, შეიმუშავა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქართული ენის კურსის ფარგლებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების შესწავლას. ამ ინტეგრირებული პროგრამის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური სამსაფეხურიანი სახელმძღვანელოების კომპლექტი, რომელიც მოიცავს მოსწავლის სახელმძღვანელოს, სამუშაო რვეულს, კალიგრაფიის რვეულს და მასწავლებლის გზამკვლევს. აღნიშნული სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ გადაეცემათ საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლებსა და ქართული ენის შემსწავლელ კურსებს.

დიასპორასთან ურთიერთობის სისტემური მიდგომის დანერგვის და დიასპორული ინიციატივების წახალისების მიზნით, 2019 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის" საგრანტო პროგრამას. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის განვითარებაში დიასპორის ჩართულობის ხელშეწყობა, დიასპორული ინიციატივების წახალისება, დიასპორაში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, სახალხო დიპლომატიის განვითარება, თანამემამულეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

ახალგაზრდებთან და სტუდენტებთან ინსტიტუციონალური ურთიერთობის გაღრმავების მიზნით გრძელდება პროგრამის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" განხორციელება.

პროგრამა მიზნად ისახავს „ახალგაზრდა ელჩების“ მიერ ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს პოპულარიზაციას, უცხოელ მეგობართა ქსელის შექმნას და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობას. აღნიშნული პროგრამისადმი ყოველ წელს იზრდება ახალგაზრდების ინტერესი, რაზეც მიანიშნებს შემდგომი სტატისტიკა: 2018 წელს გამარჯვებულები 15 ქვეყანაში, ხოლო 2019 წელს, 25 ქვეყანაში გამოავლინა. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით.

საგარო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და, ასევე, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, 2018 წლიდან, სახელმწიფოს მიერ დიასპორის წარმომადგენლების ღვაწლისა და ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილის დაფასების მიზნით, ხორციელდება პროგრამა -„დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება“. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს განვითარების პროცესში მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამემამულეების ჩართულობის ხელშეწყობა. მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ ჩვენი თანამემამულეები, რომლებმაც პროფესიულ წარმატებებს მიაღწიეს ადგილსამყოფელ ქვეყნებში და ასევე, თავიანთი წვლილი შეიტანეს წარმოშობის ქვეყნის განვითარებაში.

ქართულ დიასპორასთან კომუნიკაციის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, დიასპორული ვებ-პორტალი: www.gda.ge შექმნა. პირველად შეიქმნა საკომუნიკაციო პლატფორმა - ერთი ფანჯრის პრინციპზე, ურთიერთსარგებლიანობაზე დაფუძნებული, მომხმარებელზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ინფორმაციისა და სერვისების მიმწოდებელი დიასპორული ვებ-გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეების და მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ერთმანეთთან და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირს. ამ ეტაპზე ვებ გვერდი სატესტო რეჟიმში მუშაობს.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეების ადგილსამყოფელ ქვეყნებში ინტეგრაციის მიზნით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) ერთად, საქართველოს მოქალაქეებისთვის მომზადდა და გამოიცა საბერძნეთის და იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის გზამკვლევები ქართულ ენაზე. გზამკვლევი პრაქტიკული სახელმძღვანელოა საბერძნეთსა და იტალიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტებისთვის და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, როგორიც არის ვიზა, ბინადრობის ნებართვა და მისი მოპოვება, სოციალური დაცვა, დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანდაცვა და ა.შ. მზად არის ესპანეთის საიმიგრაციო კანონმდებლობის გზამკვლევიც, რომლის პრეზენტაცია უახლოეს პერიოდში იგეგმება.

საგარეო საქმეთა სამინსიტრომ დიასპორასთან უშუალო, მჭიდრო კონტაქტების დამყარების მიზნით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად მიიჩნია დიასპორის წარმომადგენლებთან რეგულარული შეხვედრების დაწესება, რაც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ დიასპორის პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის მექანიზმების ერთობლივად დასახვა, დიასპორისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების გაცნობა და დიასპორასთან დაკავშირებული საკითხების, წინადადებების, პროექტების შემუშავებაში მათი ჩართულობა. საგარეო საქმეთა მინისტრის დავალებით, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები გარკვეული პერიოდულობით, რეგულარულად მართავენ შეხვედრებს დიასპორის წარმომადგენლებთან.

6. ბოლო წლების განმავლობაში (არანაკლებ სამ წლიანი პერიოდი) თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დახმარებების ძირითადი მიმართულებები (შედეგები).

- **პასუხი:** პანდემიის გამო მთელი რიგი ღონისძიებების გადადების მიუხედავად, საგარეო საქმეთა სამინისტრო, აგრძელებს დიასპორასთან მიმართებით დასახული პრიორიტეტების თანმიმდევრულ განხორციელებას, რომელიც არაერთ პროექტსა და პროგრამას მოიცავს. თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ძირითადი პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-5 პუნქტში.

თავი V. ძირითადი საკონსულო ფუნქციები

+

მუხლი 12. კონსულაციის გაწევა

+

1. საკონსულო თანამდებობის პირი საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას ინფორმაციას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის, სოციალური დაცვის, სამედიცინო დახმარების, შრომითი საკითხების, მიგრაციისა და ადგილსამყოფელსახელმწიფოში ყოფნის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

2. საკონსულო თანამდებობის პირი საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აწვდის შესაბამის ინფორმაციას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული იურიდიული (საადვოკატო) ბიუროების, ქართული ენის თარჯიმნების, ქართული სკოლების, სათვისტომოებისა და ეკლესიების ადგილმდებარეობის თაობაზე, ასევე აძლევს მათრჩევებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ჩვეულებების, ტრადიციების, უსაფრთხოებისა და სხვა აუცილებელ საკითხების შესახებ.

მუხლი 13. სამართლებრივი დაცვა

+

1. სამართლებრივი დაცვა არის საკონსულო თანამდებობის პირის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის დროს განხორციელებული ღონისძიებები.

2. საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ სამართლებრივი დაცვა შეიძლება განხორციელდეს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებთან, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან ურთიერთობის დროს.

3. საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია შესაბამისი რწმუნების გარეშე წარმოადგინოს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესები ადგილსამყოფელ სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისთვის პასუხისმგებელი წარმომადგენლის განსაზღვრამდე. სამართლებრივი დაცვის განხორციელება არ გულისხმობს სასამართლო განხილვის ან გამოძიების პროცესში უშუალო წარმომადგენლობას.

4. საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებულია ადგილსამყოფელ სახელმწიფოს სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებთან წარმომადგენლობის განხორციელებისას თვალყური ადევნოს, რომ ბრალდებული უზრუნველყოფილი იყოს წარმომადგენლის და, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით.

5. საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებულია შეხვდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ან სადეპორტაციო ბანაკში (საიმიგრაციო ცენტრში) მყოფ საქართველოს ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნის შემთხვევაში ან საკუთარი ინიციატივით და პირადად დარწმუნდეს, რომ დაკავებულის მდგომარეობა და განთავსების პირობები შეესაბამება ადგილსამყოფელ სახელმწიფოს

კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულნორმებს.

6. საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი დაცვა შეიძლება გამოიხატოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მათი უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობით. უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საკონსულო თანამდებობის პირი გასცემს სხვადასხვა ცნობას, ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტს, ასრულებს და ამოწმებს დოკუმენტის თარგმანს, უზრუნველყოფს დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოთხოვას.

6¹. საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ნასამართლობის შესახებ ცნობების გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

7. საკონსულო თანამდებობის პირი სამართლებრივ დაცვას უწევს საქართველოს ფიზიკურ პირს მის მიმართ მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის აუცილებლობის არსებობისას.

8. სამართლებრივი დაცვის ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირი ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქის დარჩენილი ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად. საკონსულო თანამდებობის პირი ასევე უზრუნველყოფს საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქის გადმოსვენებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

9. საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ სამართლებრივი დაცვა ხორციელდება ასევე ადგილსამყოფელ სახელმწიფოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დროს, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ბუნებრივ ან ტექნოგენურ კატასტროფასთან, საომარ ან საგანგებო მდგომარეობასთან, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული ან ვეტერინარული მდგომარეობის გართულებასთან.

საქართველოს 2014 წლის 2 მაისის კანონი №2377 - ვებგვერდი, 16.05.2014წ.

ვიდეო • ემიგრანტი • საქართველო • 30 მარ, 2023

გერმანიაში ქართველი მძღოლები გაიფიცნენ – "მძიმე სამუშაო პირობები, სტრესი, აუღებელი ხელფასი"

13
Shares

გერმანიაში 200-მდე გაფიცული ქართველი მძღოლი მეორე კვირაა ღამეებს ტრაილერში ატარებს. მათ დახმარებისთვის საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას მიმართეს. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ინფორმაციით, დასაქმებულები რამდენიმე თვეა უხელფასოდ არიან, დამსაქმებელი კი მათთან კონტაქტზე არ გადის.

როგორც მძღოლები აცხადებენ, დამსაქმებელმა კოპანიამ მათ ჯერ მარტი-აპრილის კვირა დღის ხელფასის ჩამოჭრის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, თუმცა, ხელფასების ჩამოჭრა, მძღოლების გაუფრთხილებლად იანვრიდან დაიწყეს.

„მძიმე სამუშაო პირობები, სტრესი, აუღებელი ხელფასი საკუთარი სამშობლოდან შორს – გერმანიაში გაფიცულმა სატვირთო მანქანების მძღოლებმა დახმარებისთვის საქართველოში, პროფკავშირების გაერთიანებას მოგვმართეს. 200-მდე დასაქმებული ღამეებს მეორე კვირაა ტრაილერში ატარებს. გაფიცულები ჰყვებიან, რომ ერთმანეთისთვის საკვების ფულის გაზიარება უწევთ, რადგან რამდენიმე თვეა უხელფასოდ არიან, დამსაქმებელი კი მათთან კონტაქტზე არ გადის", – აცხადებენ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში.

მათივე ინფორმაციით, ანალოგიურ პირობებში იმყოფებიან იტალიაში დასაქმებულებიც, რომლებიც საკუთარი ტრაილერებით გერმანიაში ჩავიდნენ და გაფიცვას შეუერთდნენ.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ, მათ ხელთ არსებული ბერკეტების გამოყენებით, დახმარებისთვის პოლონეთისა და გერმანიის პროფკავშირებს მიმართა. საქმის კურსში ჩააყენეს უცხოური მედიაც და ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის (ITF) საგზაო ტრანსპორტის ზედამხედველობის ფონდი.

მათი წარმომადგენლები ადგილზე სიტუაციის შესაფასებლად მივიდნენ, სამართლებრივი უფლებების დასაცავად, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ შესაბამისი მინდობილობები გააკეთა და აქტივობები დაწყებულია. ასევე, გაფიცული მძღოლებისთვის ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის (ITF) წარმომადგენლებმა საკვები პროდუქტები მიიტანეს.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მადლობას უხდის პარტნიორ ორგანიზაციებს სოლიდარობისა და დახმარებისთვის.

ლელა დევდარიანი

24media.ge / 476

გააზიარე

საზოგადოება სიახლე • The Top Tens • საქართველო • უძველესი ცივილიზაციების ათეული

უძველესი ცივილიზაციების ათეულში საქართველო მეორე ადგილს იკავებს

24 აგვ, 2023

სიახლე • საქართველო • ტურიზმი

საქართველო მსოფლიო ტურიზმის დღისთვის მზადებას იწყებს

9 ივნ, 2023

საზოგადოება სიახლე • საქართველო

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ოკუპირებული აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ რეზოლუცია მიიღო

8 ივნ, 2023

სიახლე • საქართველო

,, თუ ადამიანს უწერია სიკვდილი მამულისათვის, ეს ბედნიერებაა!"- გმირთა მოედანზე გენო ადამიას ბიუსტი დაიდგა

30 მაი, 2023

სიახლე • მსოფლიო • საქართველო • სპორტი

გიორგი მიქაუტაძე საფრანგეთის ლიგა 2-ის საუკეთესო ფეხბურთელია

29 მაი, 2023

პოდკასტი

24 მედია-ს შესახებ

ჩვენ ვიყენებთ ქუქი ფაილებს და სხვა იდენტიფიკატორებს. რათა თქვენ შეძლოთ საიტის მაქსიმალურად კომფორტულად გამოყენება. ვეგვერდით სარგებლობის გაგრძელებით თქვენ ეთანხმებით ამ მოცემულობას.

გაიგე მეტი

TOP.GE

კატეგორიები

- მთავარი
- სიახლე
- დედაქალაქი
- ეს საინტერესოა
- საზოგადოება
- პოლიტიკა
- მუნიციპალიტეტი
- ვიდეო
- ბიზნესი
- სტატიები
- ინტერვიუ

ლოკაციები

- მსოფლიო
- საქართველო
- ინფრასტრუქტურა
- არქიტექტურა
- ეკოლოგია
- სოფელი
- ფიფიქი
- შევენახეობა

სიუჟეტები

- ჯანმრთელობა
- ტრაგედია
- სპორტი
- კულტურა
- სამართალი
- ეანონი
- ტრადიცია

> განათლება

> თავდაცვა

> ინტერვიუ

© Copyright 24 მედია, 2022. ყველა უფლება დაცულია

დამზადებულია საქართველოში